პროგრამის სახელწოდება: ფინანსები

ფაკულტეტი: ბიზნესისა ტექნოლოგიების

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა ქიბურდანიძე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის „ფინანსები“ მიზანი შეესაბამება შპს უმაღლესი სასწავლებლის განათლების აკადემია მისიას, რომელიც ითვალისწინებს მოამზადოს „გლობალური დასაქმების ბაზრის, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების, უნარ–ჩვევების, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების მქონე მოქალაქე. „განათლების აკადემია“ ხელს უწყობს სტუდენტების ინტელექტუალურ, კულტურულ და პიროვნულ ზრდას, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებას და სწავლის გაგრძელების საშუალებას, სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებას და აძლევს მათ შესაძლებლობას იქცნენ სწავლა-სწავლების პროცესის მთავარ სუბიექტად. ღია კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით, „განათლების

აკადემია“ მოწოდებულია განუვითაროს თითოეულ სტუდენტს სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. ბოლონიის წევრი ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების/კოლეჯების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება–განახლების გზით, ხელი შეუწყოს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას“.

„ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობას განაპირობებს საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების შეუქცევადი ხასიათი და მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც იწვევს მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში, სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სამსახურებში მრავალი ადამიანის დასაქმებას. შესაბამისად, გაზრდილია კვალიფიციური ფინანსისტის მომზადების მოთხოვნა.

ა) პროგრამის მიზნებია:

- ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური ფინანსისტი, რომელიც ფლობს ფინანსების მართვის ხელოვნებას, ბიზნესისა და ფინანსების ძირითად პრინციპებს და მეთოდებს. აქვს ფართო ცოდნა ფინანსების მართვაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, გამოირჩევა დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარით, აქვს დინამიურ ბიზნეს-გარემოში მუშაობისა და ფინანსების სწორად წარმართვის და ხელმძღვანელობის უნარები;
- ✓ აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შრომის ბაზარზე შეძლებენ როგორც საჯარო, ასევე სხვადასხვა მასშტაბისა და სტრუქტურის კერძო ორგანიზაციების ფინანსების ორგანიზებასა და მართვას, გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს გათვალისწინებით;
- ✓ უზრუნველყოს ახალგაზრდა სპეციალისტები ფინანსების, ბიზნესისა და მართვის სფეროში აუცილებელი სპეციფიკური ცოდნით და გამოუმუშავოს მათ ბიზნესისა და ფინანსების ფუნქციონალური სფეროების გაცნობიერების უნარები, რაც აუცილებელია ბიზნესის კარიერულ საფეხურზე წინსვლისათვის.

გ) სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს აქვს: ფინანსების თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების, ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის სათანადო ტერმინოლოგიის, აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მონაცემების ცოდნა; ორგანიზაციის, ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, ფინანსების პრინციპებისა და ფუნქციების, ფინანსებისა და პერსონალის მართვის, ინოვაციების მოძიების, საწარმოს სტრატეგიის ცოდნა და გაცნობიერება; ორგანიზაციაში და საზოგადოებაში ფინანსისტის სამართლებრივი და ეთიკური პასუხისმგებლობის გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: ორგანიზაციაში პროცესების იდენტიფიცირების, მიზნის ფორმულირების, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრის უნარი; ფინანსების მართვის (დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი) უნარი; ფინანსური ანგარიშების მომზადების, წარდგენის, ფინანსური ანალიზის, ბიუჯეტის მომზადების უნარი; ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრის, ბიზნეს-პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავების უნარი; ეფექტიანობის გაზომვის, ნოვაციების, ტექნოლოგიების, საწარმოო შესაძლებლობების განსაზღვრის, მათი ზრდისა და ხარისხის მართვის უნარი; პროექტების მართვის უნარი: მიზნის ფორმულირების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის, საჭირო რესურსების განსაზღვრისა და მართვის უნარი; წინასწარ განსაზღვრული მითითებების გამოყენებით პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის გზების მოძიების უნარი;
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: მონაცემების შეგროვებისა და განმარტების, სათანადო ინფორმაციის მოძიების, იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარი, სტანდარტული და თანამედროვე მეთოდის გამოყენებით; კონკრეტული ფინანსური ამოცანის ამოხსნისას პრობლემის რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზისა და შეფასების უნარი სტანდარტული და თანამედროვე მეთოდის გამოყენებით; დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი ინდივიდუალურ და ჯგუფურ გარემოში; სფეროსათვის დამახასიათებელი ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და განმარტების უნარი;
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: ფინანსების დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენებზე გადაცემის უნარი; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი სწავლისა და პროფესიული საქმიანობის პროცესში. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი; ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, საპრეზენტაციო მასალებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარი; საქმიანი დოკუმენტების მომზადების, პროექტის\ნაშრომის, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარი;

	ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე ელექტრონული კორესპონდენციის წარმოების უნარი;
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების გაცნობიერების და სწავლის გასაგძელებლად მიმართულების არჩევის, ცოდნის თანმიმდევრულად გაღრმავების უნარი დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით; უწყვეტი განათლების (მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის) საჭიროების გაცნობიერების უნარი; თვითგანვითარების მიმართულებების განსაზღვრის უნარი;
ღირებულებები	კურსდამთავრებულს აქვს: პროფესიული და ეთიკური ღირებულებების დაცვის უნარი კოლეგებთან და არასპეციალისტებთან საქმიანი ურთიერთობების დროს, ასევე მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღების უნარი; პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა;

დ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, პროექტების მომზადება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

ე) სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება შპს უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემიის“ აკადემიური მართვის დებულებით დადგენილი წესით:

უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება წარმოადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას აქტივობის შეფასების და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით დაგროვებული აქვს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 30%. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე დააგროვა დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50%

სემესტრის განმავლობაში თითოეული სასწავლო კურსის შესწავლისას სტუდენტის აკადემიური საქმიანობის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

1). შუალედურ შეფასებებს, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

აქტივობა - მაქსიმუმ 30 ქულა;

ორი შუალედური გამოცდა - თითოეული მაქსიმუმ 20 ქულა;

2). დასკვნითი გამოცდის შეფასებას - მაქსიმუმ 30 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) აღწერილია ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ 30 ქულას;

შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრის VI და XII კვირაში, ხოლო დასკვნითი გამოცდა მეცადინეობების დასრულების შემდეგ. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი, ზეპირი ან ტესტური ფორმით. ტესტური ფორმის დროს გამოცდა ტარდება კომპიუტერის საშუალებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან.

ვ) დასაქმების სფეროები:

საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“ უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“, ჩენსტოხოვის (პოლონეთის რესპუბლიკა) ევროპული სტანდარტების უმაღლესი ლინგვისტური სკოლის (ეკონომიკის ფაკულტეტი, მენეჯმენტისა და ბიზნესის მიმართულება), ქ. კიევის (უკრაინის რესპუბლიკა) ევროპული უნივერსიტეტის (ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტების მიმართულება) და ქ. ზაპოროჟიეს (უკრაინის რესპუბლიკა) ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტის (საერთაშორისო ეკონომიკისა და მარკეტინგის მიმართულებები) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამაა და პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კვალიფიკაცია, მიიღებენ როგორც უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“ დიპლომს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში“ , ასევე პოლონეთის რესპუბლიკის პარალელურ (მეორე) დიპლომს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის „ფინანსები“ კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იქნებიან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. მათ შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ როგორც საქართველოს, ასევე ევროპული სივრცის ეკონომიკურ სექტორში, ბანკებში, სხვადასხვა პროფილის საბიუჯეტო თუ კერძო სექტორში.

ზ) სწავლის გაგრძელების საშუალება:

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსების) და სხვა მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

თ) პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

პროგრამა განხორციელდება შპს უმაღლესი სასწავლებლის “განათლების აკადემია“ ბაზაზე, რომელიც მოიცავს სასწავლო კორპუსს (თბილისი, ქსნის ქ. #35), თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს-ცენტრებს.

აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მერხი, დაფა, ვიდეო–პროექტორი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და სხვ). ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აგრეთვე პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია on.line რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტრესურსებით სარგებლობა. მათ შორის

EBSCOHost (http://search.epnet.com), Cambridge University Journals (http://journals.cambridge.org);

ელექტრონული ბიბლიოთეკებით.

ი) პროგრამის ადამიანური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“ უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“, ჩენსტოხოვის (პოლონეთის რესპუბლიკა) ევროპული სტანტარდების უმაღლესი ლინგვისტური სკოლის (ეკონომიკის ფაკულტეტი, მენეჯმენტისა და ბიზნესის მიმართულება), ქ. კიევის (უკრაინის რესპუბლიკა) ევროპული უნივერსიტეტის (ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტების მიმართულება) და ქ. ზაპოროჟიეს (უკრაინის რესპუბლიკა) ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტის (საერთაშორისო ეკონომიკისა და მარკეტინგის მიმართულებები) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამაა. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: შპს უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემია“ და პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.